## დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა. სარეგისტრაციო პროცესი 2024 წლის 7-13 მარტის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა, როგორც დისტანციურად (ელექტრონული ფორმით), ისე საქართველოს მასშტაბით 12 მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მომსახურების მიზნებისთვის შექმნილი სამდივნოების მეშვეობით.

გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით 970-მა მოქალაქემ დააფიქსირა (ქალი-666; კაცი-463), რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 22%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები 22-27 მარტს განხორციელდება.

საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: ააიპ საზოგადოებრივი ინიციატივების ასოციაცია - 2 დამკვირვებლით.

სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

საგამოცდო ტესტები ხელმისაწვდომია ბმულზე (საკითხები გამოცდაზე უცვლელი ფორმით გამოიყენება).

2024 წლის მარტში გასამართი სერტიფიცირების გამოცდა

| N | საგამოცდო ცენტრების მისამართები | საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა | საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | თბილისი, მუხიანი, მე-3 მ/რ, კორპ. №23 (N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 900 | 322 |
| 2 | თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32 (N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | | |
| 3 | ქ. თელავი, დავითაშვილის №2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 480 | 45 |
| 4 | ქ. რუსთავი, ფიროსმანის №19 (N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 360 | 75 |
| 5 | ქ. გორი, სამების №1 (N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 300 | 36 |
| 6 | ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 320 | 53 |
| 7 | ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №8 (N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 270 | 24 |
| 8 | ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №31 (N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 420 | 98 |
| 9 | ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 5 (N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 360 | 121 |
| 10 | ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 200 | 25 |
| 11 | ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 221 (N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 540 | 60 |
| 12 | ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. №27 (N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა) | 300 | 111 |